ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება

№10

ქ. თელავი,

29 თებერვალი 2012 წელი
აბონენტის №2153792

ერთის მხრივ, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია", მდებარე: ქალაქი თელავი, ალაზნის გამზირი №93, წარმოდგენილი მისი გაკოტრების მმართველის აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის **გიორგი ლეფსვერიძის** სახით შემდგომში მოხსენიებული როგორც „გამყიდველი" და **მეორეს მხრივ,** სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯუგაანის საჯარო სკოლა, მისამართი: საქართველო, სიღნაღის რ-ნი, სოფ. ჯუგაანი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ზედელაშვილის სახით შემდგომში მოხსენიებული როგორც „მყიდველი (მომხმარებელი)", ორივე ერთად **„მხარეებად"** წოდებულნი ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გამოცემული აქტების საფუძველზე და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულება დადებულია ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვაზე და განსაზღვრავს გამყიდველის მიერ მყიდველისათვის (მომხმარებლისათვის) მის მიერ განცხადებაში მითითებულ ადგილზე (მისამართი) ელექტროენერგიის მიწოდებას, კერძოდ: საქართველო, სიღნაღის რ-ნი, სოფ. ჯუგაანი.

მუხლი 2. მხარეთა ზოგადი ვალდებულებები

2.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, ურთიერთობა აწარმოონ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებით" განსაზღვრული პირობებით.

2.2. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია, მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ანგარიშსწორება აწარმოოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული ტარიფით.

2.3. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა გადაიხადოს 2012 წლის 21 თებერვლამდე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური 932.88 (ცხრაასოცდათორმეტი ლარი და 88თეთრი) ლარის ოდენობით.

არ დაუშვას მოხმარებული ელექტროენერგიის დებიტორული დავალიანების წარმოქმნა - დაგროვება. კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას შეიტანოს ანგარიშზე დარიცხული დეპოზიტი.

2.4. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია შეისყიდოს და მოიხმაროს ელექტროენერგია საყოფაცხოვრებო/<u>არასაყოფაცხოვრებო</u> მიზნებისათვის.

(მონიშვნით)

2.5. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია დაუშვას მიმწოდებლის წარმომადგენლები მოხმარებული სიმძლავრის, ძაბვის გასაზომად, ელექტროენერგიის სხვა პარამეტრების კონტროლისათვის, მიმწოდებლის ელექტრომოწყობილობის დასათვალიერებლად, რომელიც არსებობს აბონენტის კუთვნილ ტერიტორიაზე და აღრიცხვის კვანძის შესამოწმებლად.

2.6. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია უზრუნველყოს აღრიცხვის კვანძის, ბრჯენების დაცვა დაზიანებისგან და არ შეცვალოს ელექტრომოწყობილობის მიერთების სქემა. დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღრიცხვის კვანძის ყველა შემჩნეული გაუმართაობის შესახებ, ელექტრომოწყობილობების და ბრჯენების დარღვევების შესახებ. არ მოიხმაროს ელექტროენერგია უკანონოდ.

2.7. გამყიდველი ვალდებულია, გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით უზრუნველყოს ელექტროენერგიის სიმყარე და ხარისხიანი მიწოდება კანონმდებლობის, ლიცენზიის პირობების და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

2.8. გამყიდველი ვალდებულია, ელექტროენერგიის მყიდველს (მომხმარებელს) საფასურის გადახდა მოსთხოვოს ყოველთვიური ანგარიშსწორების ქვითარში გადასახდელი თანხის სრულად ასახვისა და გადახდის ვადის განსაზღვრის საფუძველზე.